

თამთა ფარულავა
(საქართველო)

იბრაჰიმ ალ-ქუნის „ოქროს ქვიშა“ და რომანი-გამოცდის
თავისებურებანი

თანამედროვე ლიბიელი მწერლის იბრაჰიმ ალ-ქუნის „ოქროს ქვიშა“ ახალი დროის რომანია. ამ თხზულების შექმნის ეპოქისათვის რომანს, როგორც ჟანრს, უკვე გავლილი აქვს განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა და მრავალი საფეხური. ალ-ქუნის თხზულება მემკვიდრეა რომანული სიტყვის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა და თავის თავში ამთლიანებს ტრადიციული თუ ახალი რომანის ნიშნებს. ჰეგელის მოსაზრებით, ზოგადად, რომანის მთავარი კოლიზია უკავშირდება კონფლიქტს გულის პოეზიასა და ცხოვრებისეული ურთიერთობის პროზას შორის (Hegel 1975: 1092). რაც უფრო შორდება ეს ორი პოლუსი ერთმანეთს, მით შეუძლებელი ხდება მათი მორიგება. „ოქროს ქვიშის“ მხატვრული რეალობა ისეთ სურათს გვთავაზობს, რომელზეც „გულის პოეზია“ უცვლელი მოცემულობაა, „ცხოვრებისეული ურთიერთობის პროზა“ კი – ზრდადი. შესაბამისად, კონფლიქტი გარდაუვალია, კოლიზია კი – რთული და მრავალმხრივი.

მთავარი გმირის სახის კონსტრუირების თვალსაზრისით, რომანული ჟანრის მრავალგვარობაში რამდენიმე სახეობას გამოყოფენ; მათ შორისაა რომანი გამოცდა გმირისა და რომანი აღზრდა. იბრაჰიმ ალ-ქუნის „ოქროს ქვიშა“ რომანი გამოცდაა. ფიქრობენ, რომ ახალსაც და ტრადიციულ რომანსაც ახასიათებს ადამიანის (კერძო ადამიანისა და არა უნივერსალურის) გარემოებებთან და გამოცდის იდეასთან შეჯახების კონცეფცია. გამოცდის ეს იდეა ტრადიციულ რომანში განსხვავდება მეტ-ნაკლებად მყარ, მოვლენებით დატვირთულ სიუჟეტში, ხოლო ახალ რომანში – სულიერი ძიების ფორმას იღებს (Гринцер 1983: 226). რომელ გზას მიჰყვება „ოქროს ქვიშის“ ავტორი? მთავარი გმირის რომელი თვისებანი გამოიცდება?

მიუთითებენ, რომ რომანი გამოცდა ანტიკურ ნიადაგზე იქმნება, გამოივლის ბერძნული რომანისა და ადრექრისტიანული ეპოქის ცხოვრებათა (თუ წამებათა) სახეობებს, შუა საუკუნეების სარაინდო რომანისა და ბაროკოს რომანის ეტაპებს და მოაღწევს თანამედროვეობამდე (Бахтин 1979: 190-192). როგორც მიხეილ ბახტინი წერს, ამ ტიპის რომანებში სამყარო მთავარი გმირის ბრძოლისა და გამოცდის ასპარეზია; ალ-

წერილი მოვლენები, თავგადასავალი მთავარი გმირის საჯილდაო ქვაა. გამოიცდება არა მხოლოდ გმირთა ქალწულობა თუ ერთგულება, არამედ კეთილშობილება, ვაჟკაცობა, ძალა, უშიშარება, იშვიათად – ჭკუა. შემთხვევითობათა წყალობით მათს გზაზე არა მხოლოდ საფრთხეა ჩასაფრებული, არამედ - ყოველგვარი საცდურიც (Бахтин 1979: 190).

რომანი გამოცდა სამყაროს ასახვის თავისებურ მოდელს გვთავაზობს. აქ მამოძრავებელი ღერძი მთავარი გმირია. გარემო და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მხოლოდ ფონი და დეკორაციაა მისთვის. იბრაჰიმ ალ-ქუნის თხზულების ფოკუსშიც მოქცეულია ოჯახს, ტომს, საზოგადოებას განაპირებული გმირის შინაგანი სამყარო, მისი სულიერი თავგადასავალი. აქ ტუარეგების მომთაბარე ტომის ერთ-ერთი ნამიერი – უხაიადი გამოიცდება. გამოიცდება მისი ფიზიკური გამძლეობა, ტკივილის დათმენის უნარი, გაუტეხელობა, თავისუფლება, სიყვარული, ერთგულება. გამოცდის მარტივი შინაარსი მთავარი გმირისა და მისი ამლაცეი აქლემის ერთმანეთისადმი ერთგულებისა და სიყვარულის ამბავზე დაიყვანება; თუმცა საგამოცდო თემატიკა პირველმიზეზის სიყვარულისა და ერთგულების, თავისუფლებისა და მონობის, მარადიულისა და წარმავლის, დროისა და წუთისოფლის, სიცოცხლისა და სიკვდილის ფილოსოფიურ კატეგორიებს უკავშირდება. გამოცდის დრო კალენდარულად არაა დაზუსტებული; გამოცდის ადგილია უდაბნო.

ლიტერატურული კლიშე გვკარნახობს, რომ ამ ტიპის რომანის სიუჟეტური პერიპეტეიები უჩვეულო, არაორდინარულ სიტუაციებს გვიხატავს, ისეთ ამბებს, რომელიც ტიპობრივი და ჩვეულებრივი არაა (Бахтин 1979: 192). ამლაცეი მაჰრული აქლემი მართლაც გამორჩეული და იშვიათია უდაბნოში, არაორდინარული და უჩვეულოა ტუარეგი უხაიადის მიჯაჭვულობა თავის ოთხფეხა მეგობართან. უჩვეულოა მათი თავგადასავალი. აქ ჩვეული და უცვლელი მხოლოდ უდაბნოს მარადიული პეიზაჟია, რომელსაც ათასგვარი მახე აქვს გამზადებული რომანის მთავარი გმირისათვის.

ცხოვრების უდაბნო, მართლაც, საცდურებითა და შეჭირვების „ნაღმებითა“ მოფენილი: „ადამიანი დედის მუცლიდან გამოვა თუ არა, წამით მოსვენება და განცხრომა არა აქვს! ერთ უბედურებას რომ უკან მოიგოვებს, მეორეს ეგებება. გვალვასთან ომიდან იტალიელებთან ომამდე!.. წყურვილით წამებიდან შიმშილით ტანჯვამდე!.. მამის შეჩვენებიდან ცოლის ზიზღამდე, უდაბნოს სისასტიკიდან კუჭის წყლულამდე და ასე ერთმანეთის მონაცვლეობით წუთისოფლის რიგი განსაცდელისა ჩაცხრება თუ არა, სხვა არანაკლები გაჭირვება იწყება“ (ალ-ქუნი 2016: 116).

უჩვეულოა და გამორჩეულად მრავალგვარი მთავარი გმირის გამოცდის ეტაპები, რომანი რომ გვიხატავს. ისინი ქრონოლოგიური

თანმიმდევრობით ასე წარმოგვიდგება. ამავე ჩონჩხზე შეიძლება აიგოს რომანის მხატვრული შინაარსიც:

1. ფიზიკური ტკივილი, სნეული აქლემის განკურნებისას რომ ირ-გუნებს მთავარი გმირი („ტკივილი! ტკივილი იყო გაუსაძლისი! იმატებდა და სულ უფრო ძლიერდებოდა“ (ალ-ქუნი 2016: 66);

2. წყურვილი („ახლა მან უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ გაუწიოს წინააღმდეგობა დიდი უდაბნოს (საჰარას) ყველაზე საშიშ მტერს – წყურვილს!.. ეს იქნება მისი ძალის საზომი და გამოცდა“ (ალ-ქუნი 2016: 68);

3. ლტოლვილობა, ცოლის მოყვანას რომ სდევს თან;

4. შიმშილის პერიოდი უდაბნოში;

5. სულიერი ტკივილები, როცა აღმოაჩინა, რომ აქლემსა და ცოლ-შვილს შორის არჩევანის წინაშე იდგა („სხეულის ტკივილები გულის ტკივილის გადაფარვის საშუალება რომ ყოფილიყო, ხომ აღარავინ და-იტანჯებოდა! გაელვიდა თუ არა, გაახსენდა, რაც მოხდა, თავის ტკივილიც გაუქრა და სხეულის ტკივილიც! გულის ტკივილმა ყველა ტკივილი შეჭა-მა“ (ალ-ქუნი 2016: 155);

6. სამარცხვინო ცილისწამებით გამოწვეული შინაგანი ბრძოლა, რო-დესაც გაიგო, რომ ცოლ-შვილის ოქროზე გადაცვლას აბრალებდნენ;

7. შინაგანი ბრძოლა რომელიც კვლავ არჩევანის აუცილებლობი-თაა განპირობებული: ან მაჰრული აქლემი უნდა განიროს წამებისა და სიკვდილისათვის, ან სიცოცხლე უნდა დათმოს.

გამოცდის ეპიზოდები ეტაპობრივად იცვლება – შედარებით მარ-ტივიდან რთულისაკენ. ფიზიკური შეჭირვების სტადიებს სულიერი ტკი-ვილი – შინაგანი გაორება და გარდაუვალი არჩევანის მტანჯველი გაცდა მოსდევს. გამოცდის ამ უწყვეტი პროცესის უკანასკნელ ეტაპს უხაიადი თავგანწირვით უპასუხებს. იგი თმობს სიცოცხლეს ამლაცი აქლემის გა-დასარჩენად. რას ენირება რომანის მთავარი გმირი? რაში მდგომარეობს გამოცდის იდეა? აქ კი მივადეთ ალ-ქუნის რომანის თემატიკაში ერთ-ერთ წარმმართველ პრობლემას - თავისუფლების თემას. თავისუფლების გაგება მრავალგვარია, ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავიც და რომანის ავტორიც ამ ცნებას სხვადასხვა პერსპექტივიდან წარმოგვიდგენს: მთა-ვარი გმირისა თუ მის გარშემო მყოფი საზოგადოების თვალთ დანახულს; შესაბამისად, მისი მნიშვნელობაც მოუხელთებელი და ეფემერული შეიძ-ლება მოგვეჩვენოს. უხაიადის ფიქრებში გაჩენილი დილემა: ცოლ-შვილი თუ მაჰრული აქლემი, სწორედ თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ცნებათა შეჯახებას თუ მათ სპეციფიკურ გაგებას უკავშირდება. მეორე მხრივ კი, ეს ორი ცნება არათუ არ უნდა უპირისპირდებოდეს, არამედ, პირიქით, უნდა ავსებდეს და გულისხმობდეს ერთმანეთს. „თუ სირცხვილი ესაა, მაშ ღირსება და კეთილშობილება თავისუფლება ყოფილა! ღირსება

და კეთილშობილებაა, იხსნას მეგობარი და თანამგზავრი, რომელსაც ჯერ კიდევ არყოფნაში იცნობდა“ (ალ-ქუნი 2016: 142), – მსჯელობს უხაიადი. აქ ავტორი პასუხისმგებლობის საკითხს ბედისწერას უპირისპირებს: „ეს უზენაესი ბედისწერის თვისებაა, როცა წყვეტს, რომ პასუხისმგებლობა ყველას აჰკიდოს მხრებზე, რათა არ არსებობდეს ერთი დამნაშავე. როცა დანაშაულის თანამონაწილეა ყველა, მაშინ არ არსებობს დამნაშავე“ (ალ-ქუნი 2016: 143).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ოქროს ქვიშა“ სხვადასხვა ეპოქის რომანის ტრადიციებითაა ნასაზრდოები (შუა საუკუნეების ევროპული სარაინდო რომანი¹, აღმოსავლური რომანული პოემები, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა...). ამ თხზულებაში ისევე, როგორც შუა საუკუნეების რომანში პრობლემად წამოიჭრება პიროვნებისა და სოციალური ურთიერთობა; რომანის გმირი უპირისპირდება საზოგადოებას, უგულბელყოფს სოციალურ ვალდებულებებს, მის სახეში უკვე საგულისხმო ხდება „შინაგანი ადამიანი“, მისი გამორჩეული ემოციურობა (Мелетинский 1982: 259-261). უხაიადის პორტრეტშიც, ცხადია, ფოკუსის ცენტრში მოქცეულია ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ემოციური მიჯაჭვულობა მეგობართან; კურტუაზიული რომანის გმირის მსგავსად ისიც გადის გამოცდის ეტაპებს².

თუმცა ვფიქრობთ, რომ „ოქროს ქვიშა“, როგორც რომანი გამოცდა, ყველაზე სიღრმისეულ მსგავსებას მაინც ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურასთან ამჟღავნებს. ქრისტიანულ სასულიერო მწერლობაში იდეალის წვდომის გზად სწორედ წუთისოფლის გამოცდათა გავლა, მარტვილობაა დასახული. მარტვილობის შინაარსად კი საცდურთა დაძლევა, სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვა, სიკვდილთან შერიგება მოიაზრება. ტანჯვა თუ სიკვდილი ჰაგიოგრაფიის გმირისათვის თვითმიზანი არ არის. „ტანჯვა უნდა გავიგოთ, როგორც გამოცდა, კეთილი განზრახვით რომ მოუვლენს უფალი ადამიანს მისივე რწმენისა და კეთილდღეობის, კეთილსინდისიერების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის (იაკ. 1. 2-4; 1 პავლე 1. 6-7). ასეთი განზრახვით, კეთილგანწყობით შეამთხვევს უფალი განსაცდელს აბრაამს (შესაქ. 22), იობს (1. 11; 2. 5), ტობს (12-13). შეჭირვებათა გამოტარების გზით წვრთნის უფალი მათს სულებს კეთილმოქმედების, მადლის გზაზე“ (ფარულავა 1992: 106-107).

1 შუა საუკუნეების სარაინდო რომანის გენეტიკურ ფესვებს კი, ჯადოსნური ზღაპრის იმ ტიპთან მიეყვანართ, რომელიც, თავის მხრივ, ინიციაციის შესახებ მითებს უკავშირდება. ასეთი ზღაპარი გმირის პიროვნულ ბედისწერაზე ორიენტირებული, მისი თავგადასავალიც გამოცდათა სერიაზე გადის (Косиков 1994: 57).

2 ფიქრობენ, რომ თავად შუა საუკუნეების სარაინდო რომანში გამოცდის იდეა ბერძნული რომანისა (სიყვარულისა და მამაცობის გამოცდა) და ქრისტიანული ლიტერატურის (ტანჯვითა და საცდურით გამოცდა) სპეციფიკის ერთგვარ სინთეზზეა აგებული (Бахтин 1975: 200).

„წამების ქრისტიანული იდეა (ტანჯვითა და სიკვდილით გამოცდა), ერთი მხრივ, და ცდუნების იდეა (საცდურებით გამოცდა), მეორე მხრივ, მასალის ორგანიზების თვალსაზრისით, სპეციფიკურ შინაარს ანიჭებს გამოცდის იდეას ვრცელ ადრექრისტიანულ, შემდეგ კი შუა საუკუნეების ცხოვრებათა ჟანრის ლიტერატურაში“ (Бахтин 1975: 200). ყველა ეს იდეა აწესრიგებს, ლოგიკურად ამთლიანებს და ჟანრულ კალაპოტში აქცევს „ოქროს ქვიშის“ მხატვრულ შინაარსსაც.

გარკვეული თვალსაზრისით, ქრისტიანული „წამების“ გმირი სტატიკურია, მყარი; გადატანილი შეჭირვება და ტანჯვა მასშიც არაფერს ცვლის. ის გარემოება, რომ მთავარი გმირი ზოგჯერ დაღლილობის, დაეჭვების, უიმედობის განცდას ვერ მალავს, კვლავ რომანი გამოცდის თავისებურებით აიხსნება. აქ რწმენის სიმყარე სწორედ ეჭვთა შემოტევით გამოიცილება (Бахтин, 191). უხაიადიც გადის ამგვარი საცდურების ლაბირინთს. უფრო მეტიც, ფასეულობათა სამყარო მისთვის ზოგჯერ თავდაყირა დგება: „გაქრა შთაგონება და დადგა რეალობა. გაქრა თავისუფლება და მოვიდა ბორკილები. მოეჩვენა, რომ ყველაფერი, რაც კი უფიქრია ხსნისკენ თავგანწირულ სრბოლაში, ილუზია იყო. ილუზია კი ილუზიაა ახლა, ხოლო ცოლი – თავშესაფარი და ნავსაყუდელი, შვილი კი – ნანატრი და ნალოდინარი მესია! სასწაული წამში ყირაზე დადგა“ (ალ-ქუნი 2016: 167). მაგრამ „ოქროს ქვიშის“ მთავარი გმირის შინაგან სამყაროში თუ მის სოციალურ გარემოში მიმდინარე დაპირისპირებათა, გარდაუვალი შემთხვევითობისა თუ დანაშაულებრივი არჩევანის მიუხედავად, იგი უმეტესად მაინც უცვლელი და მზა სახით წარმოგვიდგება. სიუჟეტური პერიპეტეხები მის ხასიათს ვერ ცვლის, მხოლოდ ამყარებს და აწრთობს მას. ტანჯვა და მოთმინება რომ მისგან არჩეული გზის აუცილებელი თანამგზავრია, რომანის მთავარმა გმირმა თავიდანვე იცის და ამ ჭეშმარიტებას ხშირ-ხშირად ახსენებს თავის ოთხფეხა მეგობარსაც და საკუთარ თავსაც: „მოითმინე! მოითმინე!.. ცხოვრება თმენაა!.. ხომ შევთანხმდით, თუ მოითმენ, მიაღწევ იმას, რომ განიკურნები“ (ალ-ქუნი 2016: 56); „შესაძლებელი ყოფილა საშინელი უმწეობის მოთმინებით დამარცხება“ (ალ-ქუნი 2016: 62); თუმცა იშვიათად მის ხმაში საყვედურიც ისმის: „ნუთუ ხსნა უკიდურესი ტკივილის გარეშე არ არსებობს?!“ (ალ-ქუნი 2016: 63).

გმირი აქ უცვლელი სიდიდეა. რომანში აღწერილი მოვლენები კვალს ტოვებს მის ფიზიკურ მდგომარეობაზე (უდაბნოში თავგანწირული ქროლისას მის დაგლეჯილ სხეულს სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობა), გადაადგილებს მას სივრცეში – თვალუწვდენელი უდაბნოს სხვადასხვა მხარეს, ცვლის მის სოციალურ სტატუსს (ის ხან ოჯახის თავია, ხანაც – ხალხს განაპირებული, დევნილი მარტოკაცი). მაგრამ უცვლელი,

სტატიკური და მყარია გმირის შინაგანი სახე, რომლის ირგვლივ ტრი-
ალებს და მოძრაობს სამყარო.

სიმბოლოები იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანის სახეობრივი სისტემის ერთი საგულისხმო მხარეა. ისინი გვეხმარებიან, დავინახოთ იმაზე გაცი-
ლებით მეტი, ვიდრე უშუალოდ ამ სიტყვებისა თუ საგნების შინაარსი
წარმოგვადგენინებს.

რას გვეუბნება რომანის სათაური „ოქროს ქვიშა“? რეალურად, მთავარი გმირის გამოცდის არც ერთი ეტაპი მატერიალური ქონების დაგროვებას არ უკავშირდება. ჯადოსნური ნიშნებით მოხატული ტყა-
ვის ის ტომსიკა, შიგ ოქროს ქვიშა რომ ეყარა, დრამატული სცენის ნაკ-
ლებმნიშვნელოვანი დეკორაციაა. რომანის პერიპეტეების ფონზე ეს უმნიშვნელო დეტალი მთავარი გმირისა თუ მკითხველის მეხსიერებაში იკარგება კიდევ. თუმცა მატერიალურ სამყაროში მცხოვრები უხაიადი მუდმივად ეჯახება მატერიის კანონებს: ჯერ დგას საკითხი, როგორ გაყიდოს აქლემი ცოლ-შვილისა და შიმშილის გამო, შემდეგ ამის საპი-
რისპიროდ: როგორ გაყიდოს ცოლ-შვილი აქლემის გამო. უხაიადის წინა-
შე წამოჭრილი ეს დილემა სინამდვილეში თავისუფლების საკითხს უნდა უკავშირდებოდეს. **ოქროს ქვიშა** არის სიმბოლო-გასაღები რომანისა; პირდაპირი მნიშვნელობით, იგი გამოცდის იმ ეტაპს უკავშირდება, რომ-
ლის „ჩაბარებისას“ უხაიადი მკვლელი ხდება. რომანის გმირი აქაც მორიგ უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდება - მას ჰგონია, ცოლ-შვილზე უარის თქმით მატერიალური ხუნდებისაგან საბოლოოდ გათავისუფლდება და ნანატრ თავისუფლებას მოიპოვებს. შემთხვევის წყალობით კი, ხელში თავისდაუნებურად ოქროს ქვიშა შერჩება, რომელიც არც მოუთხოვია; იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნდა, რომ მასზე უარიც კი არ უთქვამს. ფართო მნიშვნელობით, **ოქროს ქვიშა** არის ყველაფერი ის, რაც სასწორ-
ზე თავისუფლების საპირწონედ შეიძლება დაიდოს წუთისოფელში: ცოლ-
შვილი, ნათესაობა, სირცხვილი, საზოგადოების აზრი, სპილოს ძვალი თუ სირაქლემას ბუმბული, ქერისა თუ ფინიკის ტომრები. **ოქროს ქვიშა** სიმბოლოა იმისა, რასაც ადამიანი წუთისოფელში ფლობს და რომლისა-
გან გათავისუფლება უდაბნოს მარტოობაში ჩაკარგული კაცისთვისაც კი შეუძლებელი ხდება.

რას განასახიერებს **ამლაცი აქლემის** მხატვრული სახე?

ვფიქრობთ, უხაიადისა და მისი აქლემის მეგობრობის, განშორები-
სა თუ კვლავ შეხვედრის ისტორიებში პიროვნების შინაგანი გაორება-
დაპირისპირების სურათი უნდა იკითხებოდეს. ხოლო ეს დაპირისპირე-
ბა, თავის მხრივ, ადამიანის ღმერთთან განშორების, პირველსაწყისთან

ოდინდელი კავშირის დარღვევის სევდიან ამბავზე მიგვანიშნებს. ამ კავშირის აღდგენის გზად კი რომანში შეჭირვებისა და ტკივილის დათმენა, საჭიროების შემთხვევაში, სიცოცხლის დათმობაა დასახული.

ავტორი ამ პერსონაჟს მთავარი გმირის მხატვრულ სახეში ამთლიანებს – ამლაცი აქლემი თავად უხაიადია, მისი საუკეთესო თუ განუყრელი „მე“, მისი დაბადებისუნინარესი წილი, რომელიც მხოლოდ დროებით განესხვისა თუ გამოეყო მას („ისინი ერთნი იყვნენ, სანამ რამედ იქცეოდნენ“ (ალ-ქუნი 2016: 141). „გადატანილმა უბედურებამ ჩვენ ერთ არსებად გვაქცია“ (ალ-ქუნი 2016: 131),- ამბობს უხაიადი თავის ოთხფეხა მეგობარზე. აქლემი მისი უკეთესი ნახევარია: „როგორ აიღოს ხელი თავის ღვთაებრივ ნახევარზე და ამქვეყნიურ ილუზიაზე გადაცვალოს“?! (ალ-ქუნი 2016: 141).

უხაიადი და მისი აქლემი რომ ერთი პიროვნების ორ იპოსტასად დავინახოთ, ამას პერსონაჟის სიტყვაზე დაკვირვებაც უნცობს ხელს. თხრობა ისეა აგებული, რომ მთავარი გმირის მეტყველება უმეტესად დიალოგისა და მონოლოგის მიჯნაზე დგას. ღრმა ფილოსოფიურ საკითხებზე უხაიადის მსჯელობა, რომელიც მის ოთხფეხა მეგობარს მიემართება, ცხადია, შინაგანი მონოლოგის სახეს წარმოგვიდგენს („შორს ავადმყოფობისაგან, ჩემი ამლაციო!.. შეიხი მუსა ამბობს, რომ სრულყოფილება მხოლოდ უფალს აქვს! სრულყოფილი და დაღბნიებული ცხოვრება არ არსებობს! არც სამოთხეა და არც წალკოტი დედამინაზე! სამოთხე მხოლოდ იმქვეყნადაა! აქ კი, მინაზე, განკურნებას იპოვი და სილამაზეს დაკარგავ! ჯანმრთელობას დაიბრუნებ და სრულქმნილება გაგიფრინდება ხელიდან! სრულყოფილება მხოლოდ ღმერთთა ხვედრია!“ (ალ-ქუნი 2016: 69-70).

მეორე მხრივ კი, ეს ერთობა, ეს უცნაური მთლიანობა (უხაიადი – აქლემი) შემოქმედისა და ადამიანის ოდინდელ მისტიკურ კავშირს უნდა გულისხმობდეს („თვალწინ დაუდგა თავიანთი მეგობრობა ჯერ კიდევ იმ დროიდან, სანამ დაიბადებოდნენ, სანამ ჩაისახებოდნენ დედის მუცლებში, სანამ მამების გულელებში ფიქრსა და გრძნობას აღძრავდნენ, სანამ სურვილად იქცეოდნენ, სხეულზე რომ ბატონობს, სანამ მარადიულ კოსმოსში მტვრის ნამცეცხად მოვიდოდნენ“ (ალ-ქუნი 2016: 141). უფრო მეტიც, თავისი ოთხფეხა მეგობარი უხაიადს წუთისოფლის მორვეიდან ამოსვლის, თავისუფლების, გადარჩენის გზად წარმოუდგება: „ამლაცი ხსნის მაცნეა, ხსნის ხომალდი, თავისუფლების გემი“ (ალ-ქუნი 2016: 163). ისაა გზა, რომელმაც დასახულ იდეალთან უნდა მიიყვანოს.

ამ სიმბოლოთა ამოხსნის მცდელობის გარეშეც იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანი სრულყოფილი მხატვრულ-ესთეტიკურ მთლიანობად წარმოგვიდგება. თხზულება შუა საუკუნეების სპარსულ-არაბული მწერლობის ჭეშმარიტი მემკვიდრეცაა. აქ თავს გვახსენებს კლასიკური სუფიური (მისტიკური) ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ორშრიანობის (ზოგჯერ სამშრიანობის) ფენომენი. სუფიური მისტიკური მწერლობა საღმრთო მიჯნურობაზე სასაუბროდ ჩვეულებრივ სალხინო თუ სატრფიალო პოეზიისათვის ნიშნულ ლექსიკას იყენებს. როგორც ვიცით, სპარსული თუ არაბული მისტიკური ლიტერატურისათვის „ტიპობრივია, რომ გარკვეული რელიგიური იდეები, რომლებიც ისლამური თეოლოგიის არსს წარმოადგენს, ყურანიდან მოხმობილი გარკვეული სახეები ... შეიძლება წმინდა ესთეტიკური ხასიათის სიმბოლოებად წარმოგვიდგეს. ამგვარად, პოეზია საერო და საკრალური იდეების ახალი კავშირების შექმნისათვის სრულიად შეუზღუდავ შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ნიჭიერ პოეტს შეუძლია ამ თამაშში სრულყოფილებას მიაღწიოს ორივე დონეზე და ისე მოაწყოს საქმე, რომ ყველაზე „მინიერ“ ლექსსაც მისცეს მკაფიო რელიგიური ელფერი“ (Шиммель 2000: 225). ამგვარი ალფეგორიულობის წყალობით, ქალ-ვაჟის სიყვარულის ტრაგიკული ისტორია შეიძლება საღვთო მიჯნურობის ამბავსაც გვიცხადებდეს. ამგვარადვე ორსახოვანია „ოქროს ქვიშის“ მხატვრული სამყარო; ერთი მხრივ, აქ მოთხრობილია მომთაბარე უხაიადისა და მისი აქლემის ჭეშმარიტი, თავგანწირული მეგობრობის ამბავი და, მეორე მხრივ – ადამიანის პირველსაწყისთან დაბრუნებისა და თავისუფლების მოპოვების ისტორია.

უხაიადის გამოცდის ბოლო ორი ეტაპი ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს, უფრო ზუსტად, ერთი მეორეს განაპირობებს. აქამდე გმირი ახერხებდა ცხოვრების მახისაგან თავის დახნას, მაგრამ ახლა გამოცდის თემა მის თავმოყვარეობას დაუკავშირდება (მას დააბრალებენ, რომ ცოლ-შვილი ერთი მუჭა ოქროს ქვიშის სანაცვლოდ გაყიდა) და უხაიადის მსჯელობაც ჩვეულ სიდინჯესა და გონივრულ ემოციურობას დაკარგავს: „როგორ გაუძლოს ამ ყველაფერს, როგორ მოითმინოს?! ეს ხომ სირცხვილზე მეტია!.. ეს სიკვდილზე უარესია!.. ნეტავ მომკვდარიყო!.. არა, არა, სიკვდილი არ ეგების, სანამ ამ შეცდომას არ გამოასწორებს! ხალხი უნდა დაარწმუნოს იმაში, რაც სინამდვილეში მოხდა. მას არავინ გაუყიდა, მხოლოდ ბორკილები მოიშორა, გათავისუფლდა მათგან თავისი ნებით, რათა დაებრუნებინა სიცოცხლე ამლაცთან ერთად“ (ალ-ქუნი 2016: 173). უხაიადი შეცდომის „გამოსასწორებლად“ ცილისმწამებელს მოკლავს, ოქროსქვიშიან ქისას კი ოაზისის წყალში ჩაცლის.

„ოქროს ქვიშა“ მეოცე საუკუნის ბოლოს იწერება. შუა საუკუნეების სარაინდო რომანის გმირთან მებრძოლი „უნყინარი“ ურჩხულების ეპოქა ჩავლილია, მათ უხაიადი ჯერ კიდევ ბავშვობის სიზმრებში ხედავდა. ახალი დროის რაინდს აგიოგრაფიული თხზულების წმინდანის „ალჭურვილობაც“ გაუცვდა. ახლა ადამიანი კაცობრიობის მთავარ მტერთან – ამპარტავნებასთან – ბრძოლაში გაცილებით დაუცველია, ვიდრე ის ახალი ერის გარიჟრაჟზე იყო. ამიტომაც ლოგიკური იქნება, რომ რომანი გამოცდის მთავარი გმირი ამ ასპარეზზე დამარცხდეს. უხაიადიც მარცხდება, რათა გამოცდის შემდეგ ეტაპზე სიცოცხლის დათმობით გამოისყიდოს ეს შეცდომა.

ოღონდ სანამ მეგობრისათვის სიცოცხლეს გაიღებს, მის სიზმრებში უნდა განახლდეს ჯერ კიდევ ბავშვობისდროინდელი ხილვა, რომელსაც ავტორი მისტიკური საბურვლით მოსილ, რელიგიური შინაარსის სახეებით აღბეჭდილ სურათად წარმოგვიდგენს: „ესიზმრებოდა ჩაბნელებული, სევდიანი სახლი, თიხის ყალიბებზე ნაგები, ორსართულიანი... მინის სართული დანგრეული იყო, რამდენიმე ოთახის კედლები ჩამონგრეულიყო... ის მიტოვებული იყო, არც ფანჯრები ჰქონდა, არც კარები. უცნაური ის იყო, რომ საკუთარ თავს ამ სახლში გამომწყვდეულს ხედავდა, ისე, რომ არავინ იცოდა, საიდან მოხვდა შიგნით. თავს ყოველთვის მეორე სართულზე აღმოაჩენდა ხოლმე... დაცემისა ეშინოდა და უხილავი არსების ყოფნას გრძნობდა, რომელიც საერთოდ არ ჩანდა. ამასთან ერთი ჩრდილი და სილუეტიც კი არ დაუნახავს. მთელი მისი შიში ამ განმეორებად მოგზაურობაში ორი რამის გამო იყო – დაცემისა და უხილავი არსების გაბრაზების!“ (ალ-ქუნი 2016: 169-170). თუ მეტაფორა ენის სიზმარია, ეს სიზმარი მეტაფორაა ადამიანისა, რომელშიც თიხის მყიფე სხეული და იდუმალი მოლოდინით, შიშით აღსავსე სულია გამთლიანებული.

სიზმარი თავს გვახსენებს ფინალურ სცენაშიც, რომელიც მთავარი გმირის სიკვდილისა და ამ აკვიატებული სიზმრის დეტალებს ამთლიანებს: „წყვდიადი უცაბედმა ცეცხლოვანმა ალმა გააპო. ჩაბნელებული სახლი მინისძვრამ შეაზანზარა. შემზარავი კედელი ცეცხლოვანი ხმლის დაკვრამ ჩამოანგრია. გამოჩნდა იდუმალი, უხილავი არსება მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო, უხაიადი ახლა ველარასოდეს შეძლებდა, ვინმესთვის ეამბნა, რაც ნახა“ (ალ-ქუნი 2016: 202).

შეიძლება ასე ამოვიკითხოთ: მთავარი გმირი ამ სცენაში სიკვდილის გავლით ანგრევს სხეულის საპატიმროს და თავისუფლებას მოიპოვებს. აქ რეალური და მისტიკური გადაჯაჭვულია ერთმანეთს. უხაიადი რომანის ფინალში თავის მარადიულ სამშობლოს უბრუნდება, „მშობლიურ ოაზისს, რომელთან შედარებით მთელი ფეხანის ოაზისები მისი უბადრუკი ჩრდილია მხოლოდ“ (ალ-ქუნი 2016: 93). ის, რაც ამ „ოაზისში“, ამ ჩამონგრეული

კედლების მიღმა იხილა უხაიადმა, თხრობისას არ აღინერება, მისტიკური აზროვნება ამ სახილველს ადამიანის ნუთისოფლური თვალისათვის უხილავად წარმოგვიდგენს. ფინალური სცენა რომ რომანის მთავარი გმირის „სამშობლოში“, საკუთარ თავთან, საკუთარ საწყისთან დაბრუნებად დავინახოთ, ამას გვკარნახობს სუფიური ტრადიციაც („ყოველი, ვინაც განეშორა საკუთარ საწყისს, მთელი ცხოვრება ისევ ისე შერწყმას მიელტვის“ (რუმი 2020: 38) და რომანის ჟანრული ხასიათიც („რომანი არასრულფასოვნების თავგადასავალს გვიყვება, რომანის შინაარსი იმ სულის ისტორიაა, რომელიც საკუთარი თავის საპოვნელად მიდის, რომელიც ეძებს თავგადასავალს, რომლითაც საკუთარ თავს დაამტკიცებს და გამოცდის, საკუთარი თავის დამტკიცებით იპოვის საკუთარ არსს“ (Lukács 1971: 89). მომთაბარე უხაიადის თავგადასავალიც საკუთარი თავის, საკუთარი მარადიული „ბინის“ პოვნით და „ბინადარ“ ცხოვრებასთან დაბრუნებით, თავისუფლებასთან ზიარებით სრულდება.

რომანის ავტორი ხშირად ისე აყალიბებს სათქმელს, რომ საკმაოდ ბევრი რამ დეტალით, მინიშნებით, დაუსრულებელი აღწერით თუ დუმილით გადმოიცემა. ეს მკითხველის სივრცეა, რომელშიც ჩვენს კითხვებზე ზოგჯერ პასუხიც შეიძლება მოვიძიოთ. „ადამიანი მძევალია იმისა, რასაც ის ფლობს, ისევე, როგორც ის ტყვეა საკუთარი სხეულის“ (ალ-ქუნი 2016: 145), – ამბობს ავტორი ერთ-ერთი პერსონაჟის (შეიხ მუსას) ენით. შესაბამისად, ალ-ქუნის რომანის მთავარი გმირი საბოლოოდ ამ ორივე ტყვეობისაგან თავდახსნილი და თავისუფალია. ახალი დროის სხვა რომანთა მსგავსად (რომლებშიც მთავარი გმირი ნებაყოფლობითი სიკვდილით გაურბის ცხოვრების ტვირთს, ან სიცოცხლის გასაგრძელებლად იძულებულია, შეეგუოს გარემოს), ალ-ქუნის რომანიც დაგვანახვებს, რომ „არსებული სამყაროს საზღვრებში ... ყოფიერების სისავსის მოპოვება, პრინციპში, შეუძლებელია“ (Косиков 1994: 72). თუმცა, იმავდროულად, იგი იმ გზაზე მიგვანიშნებს, რომელიც სიყვარულზე, ერთგულებაზე, თავგანწირვაზე გადის და თავისუფლებისაკენ მიემართება.

და აქვე ერთი საკითხიც წამოიჭრება. დამაფიქრებელი ხდება ჩვენეული მტკიცება იმის შესახებ, რომ ავტორი პროტაგონისტს ბოლომდე უცვლელი და მზა ფორმით წარმოგვიდგენს. რომანის ფინალი უთუოდ გულისხმობს ადამიანის გარდაქმნას,¹ გარდასახვას, ცვლილებას. უხაიადი განსაცდელთა გრძელ ჯაჭვში გამოიცდება და საბოლოო გარდაქმნით, თავისუფლების უმაღლესი საფეხურის მიღწევით, უზენაესთან ოდინდელი პიროვნული ერთობის აღდგენით განამტკიცებს იდეალს. იქნებ უნდა ვიფიქროთ, რომ „ოქროს ქვიშაში“ გამოცდისა და აღზრდის, გარდაქმნა-

1 აქ ისევ გვახსენებს თავს სასულიერო მწერლობა. მიიჩნევენ, რომ ჰაგიოგრაფიის გმირის სულიერი პორტრეტიც გარდაქმნილი ადამიანის პორტრეტიცაა.

გარდასახვის იდეები ერთიანდება?! მ. ბახტინის მითითებით, ახალი დროის რომანი გვაჩვენებს, რომ ალზრდის იდეა გამოცდის იდეასთან შეიძლება არა მხოლოდ თანაარსებობდეს, არამედ, მათ შეიძლება შექმნან „ღრმა და ორგანული ერთობა“ (Бахтин 1975: 204). ადვილი შესაძლებელია, „ოქროს ქვიშაზე“ სხვა პერსპექტივიდან დაკვირვებამ ამგვარი ორგანული მთლიანობა წარმოგვიჩინოს. ეს გარემოება კი იბრაჰიმ ალ-ქუნის ამ თხზულებას ევროპული რომანის გამორჩეული ნიმუშების გვერდით მიუჩინებს ადგილს.

დამონშებანი:

- Al-Kuni, Ibrahim. *Okros Kvisha*. Arabulidan targmna Darejan Gardavazdem. Tbilisi: gamomtsemloba “int’elekt’i”, 2016 (ალ-ქუნი, იბრაჰიმ. *ოქროს ქვიშა*. არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016).
- Bakhtin, M.M. *Estetika Slovestnogo Tvorchestva*. Moskva: izdatel’stvo “iskusstvo”, 1979 (Бахтин, М. М. *Эстетика словестного творчества*. Москва: издательство “искусство”, 1979).
- Bakhtin, M.M. *Voprosy Literatury i Estetiki*. Moskva: izdatel’stvo “khudozhestvennaya literatura”, 1975 (Бахтин, М. М. *Вопросы литературы и эстетики*, Москва: издательство “художественная литература”, 1975).
- Grintser, P. Tipologiya Srednevekovogo Romana (E.M. Meletinskiy, Srednevekovyy Roman. Proiskhozhdenie I Klasicheskie Formy. M.: izdatel’stvo “nauka”, 1983, 304s.), *Voprosy literatury*, 7 (1984): 220-227 (Гринцер, П. „Типология средневекового романа (Е. М. Мелетинский, Средневековый роман. Происхождение и классические формы, М.: издательство “наука”, 1983, 304 с.)“, *Вопросы литературы*, 7 (1984): 220-227).
- Hegel, Georg Wilhelm Friedrich. *Aesthetics: Lectures on Fine Art*, v. II, Oxford: Clarendon press, 1975.
- Kosikov, G. K. “K teorii romana (roman srednevekovyy I roman novogo vremeni)”. *Problemy zhanra v literature srednevekov’ya, Literatura srednikh vekov, renessansa I barokko*, I, Moskva: izdatel’stvo “Nasledie” (1994): 45-87 (Косиков, Г. К. “К теории романа (роман средневековый и роман нового времени)” (Проблемы жанра в литературе средневековья, Литература Средних веков, Ренессанса и Барокко, I. Москва: издательство “наследие” (1994): 45-87).
- Lukács, Georg. *The Theory of The Novel, A historico-philosophical essay on the forms of great epic literature*, Cambridge, Massachusetts: The MIT Press, 1971.
- Meletinskiy, E.M. “Srednevekovyy roman, voprosy tipologii”, *Khudozhestvennyy yazyk srednevekov’ya*, Moskva: izdatel’stvo “Nauka” (1982): 250-265 (Мелетинский, Е. М. “Средневековый роман, вопросы типологии», *Художественный язык средневековья*, Москва: издательство “наука” (1982): 250-265).
- Parulava, Griver. “T’anjvis krist’ologiyuri Gageba da Erovnulli Mts’erloba”, *Tsiskari*, 3 (1992): 106-127 (ფარულავა, გრივერ. „ტანჯვის ქრისტოლოგიური გაგება და ეროვნული მწერლობა“, *ცისკარი*, 3 (1992): 106-127).
- Rumi, Jalal ed-din. *Arsta Mesveni*, Sp’arsulidan Targmna Giorgi lobzhanidzem, Ts’igni P’irveli, Tbilisi: Sulak’auris gamomtsemloba (2020) (რუმი, ჯალალ ედ-დინ. *არსთა მესნევი*, სპარსულიდან

თარგმნა, შესავალი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ, წიგნი პირველი, თბილისი: „სულაკაურის გამომცემლობა“, 2020).

Shimmel', Annemari. *Mir Islamskogo Mistitsizma*. Moskva: izdatel'stvo "enigma", 2000 (Шиммель, Аннемари. *Мир исламского мистицизма*. Москва: издательство "энигма", 2000).

Tamta Parulava
(Georgia)

***Gold Dust* by Ibrahim Al-Koni and Features of Novel of Trial**

Summary

Key words: Al-Koni, Gold Dust, novel, trial, Sufism, freedom.

Gold Dust by a contemporary Libyan writer, Ibrahim al-Koni is a modern novel. With regard to the construction of an image of a main character, Mikhail Bakhtin identifies several types within the variety of novelistic genre; they include the novel of trial of a hero in which the events described provide an arena for the protagonist's trial and struggle.

Here, the main character is the driving force of the plot, while the environment and minor characters merely serve as the protagonist's decoration and background. Ibrahim al-Koni's *Gold Dust* is the novel of trial as such. The inner world and the spiritual journey of the hero who remains isolated from his family as well as his tribe, and society fit into the focus of the novel. Here, Ukhayyad, one of the offsprings of the nomadic tribe of Tuareg is being tested. His resilience and the ability to endure pain, his perseverance, freedom, love and loyalty undergo a trial. Basic content of the trial boils down to the story of mutual love and devotion between the main character and his piebald camel; however, the trial themes pertain to the philosophical categories of love and devotion to the primary cause, and those of freedom and servitude, eternal and frail, time and transient world, and life and death. There is no precise indication of the time of trial; the desert is the place of trial.

A literary cliché suggests that the story-driven peripeties of this type of novel are supposed to portray uncommon and out-of-the-ordinary situations. A piebald Mahri camel is truly remarkable and rare in the desert; attachment of Ukhayyad, the Tuareg man to his four-legged friend is striking and unusual. Their adventure is unparalleled. The only thing that is usual and inalterable here is the desert landscape that has all kinds of pitfalls and traps prepared for the novel's protagonist.

Stages of the protagonist's trial depicted by the novel are unusual and remarkably diverse. They proceed from relatively simple to complex phases – those of physical suffering (physical pain, exile, thirst and hunger) are followed by emotional

pain – inner split, encountering slander, and a distressing feeling of an inescapable choice. Ukhayyad responds to the final stage of this uninterrupted process of the trial with self-sacrifice. He surrenders his life to rescue the piebald camel.

Gold Dust has absorbed novelistic genre traditions of various epochs (such as the chivalric romance of the medieval period, Oriental poems in the romance genre, hagiographic literature and so on). We believe that *Gold Dust* as a novel of trial manifests the most profound similarity to hagiography. It is the living through life's ordeals as well as martyrdom that is outlined as the only way of attaining the ideal in the Christian ecclesiastical literature, while the overcoming of temptations, undergoing emotional distress or physical suffering, and reconciliation with death are considered as the essence of martyrdom. The creative content of *Gold Dust* is organized, integrated in a logical manner and brought within the scope of the genre by means of temptations, suffering and the ideas of being tested through death.

In a way, the character of the Christian “Martyrdom” is static, firm. The experienced distress and suffering fail to change anything in him. Despite ongoing confrontations, unavoidable accidents or an unlawful choice within the inner world or the social setting of the protagonist in *Gold Dust*, most of the time, he remains unchanged and prepared. From the very beginning, the protagonist of the novel is well aware that suffering and endurance are inseparable companions throughout his chosen journey. That is why the twists and turns and vicissitudes within the plot ensure strengthening and tempering, rather than altering of his character.

Symbols represent a remarkable aspect of imagery in Ibrahim al-Konis's novel. Gold dust is a symbol and a key of the novel; it is tied to that particular phase of the trial where Ukhayyad commits murder. In a broad sense, gold dust is everything (i.e. wife and children, relatives, shame, collective opinion or material wealth) that can serve as a counterbalance to freedom in this life. Gold dust is a symbol of what a human possesses in this earthly life, and freeing himself from which becomes impossible even for a man who has vanished into the desert.

A literary image of the *piebald camel* must personify the protagonist's alter ego. Stories of friendship, separation or reunion of Ukhayyad and his camel are likely to depict the inner split and conflict within a person, while the very conflict, in its turn, implies man's separation from God, and the breaking of an original bond between a man and first principle.

Observation of the character discourse allows us to recognize Ukhayyad and his camel as two hypostases of the same person. The narration is structured the way that maintains the protagonist's account, for the most part, at the interface between a dialogue and a monologue.

A type of internal monologue is implied by Ukhayyad addressing deep philosophical questions as he is standing with his camel. On the other hand, such unity, such an unusual integrity (of Ukhayyad and his camel) is meant to signify man's earliest mystical union with the Creator. By virtue of allegoric nature intrinsic to the mystic literature of the Sufis, the story of true selfless friendship that unfolds in al-Konis's novel, on the other hand, presents itself as the story of a man returning to the source and attaining freedom ("Every one who is left far from his source / wishes back the time when he was united with it" (Rumi).

Like other novels of the modern period in which the main characters either voluntarily avoid the hurdles of life or are compelled to adapt themselves to the environment to continue to live, al-Konis's novel demonstrates that the ideal almost always remains unattainable in the world we live in, however, at the same time, it reminds us of the path leading to freedom through love and self-sacrifice.

In addition, another issue arises: while the main part of the plot portrays the protagonist in an unaltered and complete form, the ending of the novel certainly suggests human transformation, metamorphosis, and change (here again, the resemblance to the spiritual image of a hagiographic character). Ukhayyad is tested by proceeding through a long sequence of trials, empowering the ideal through final transformation – returning to the source. Perhaps we should consider that *Gold Dust* integrates the ideas of trial and nurture, transformation and metamorphosis. The very feature secures a position for Ibrahim al-Konis's literary work among distinguished European novels.